



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კირქვის სეპარირებულად დაფქვის) პროექტის სკრინინგის ანგარიშზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

3 ოქტომბერი, 2022

2022 წლის 22 სექტემბერს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) კასპის მუნიციპალიტეტში, კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

კასპის ცემენტის ქარხანა ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე (ქარხნის დასახლების) მდებარეობს, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული. მაცხოვრებლები წლების განმავლობაში ჩივიან საწარმოს მუშაობით გამოწვეულ სხვადასხვა პრობლემებზე. უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას და საწარმოს მუშაობით გამოწვეულ ხმაურს უკავშირდება. სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული იქნება დამატებით დანადგარების მოწყობასთან, რამაც შესაძლოა გაზარდოს კუმულაციური ზეგავლენა.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება და პროექტის განხორციელების შემდეგ არსებული გაფრქვევის წყაროების პარამეტრები არ შეიცვლება. კუმულაციური ზემოქმედების საკითხის მიმართ მსგავსი მიდგომა არასწორია. საწარმოში დაგეგმილია დამატებით ახალი სილოსების მოწყობა. ასევე, დამატებით სამი ახალი გაფრქვევის წყაროს დამატება. რაც თავისთავად ზრდის გარემოზე ზემოქმედებას.

ყურადღებია, რომ კუმულაციური ზეგავლენა შეფასებულია მხოლოდ ჰაერის დაბინძურების კუთხით. შეფასებისას, მნიშვნელოვანია როგორც ჰაერის დაბინძურების, ისე ხმაურის დონის გათვალისწინებაც. დამატებით კირქვის განცალკევებით დაფქვა და სამსხვრევი დანადგარების გამოყენება ხმაურს უკავშირდება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უახლოესი საცხოვრებელი პროექტის განხორციელების ადგილიდან 330 მეტრში მდებარეობს. დაშორების ეს მანძილი საკმაოდ მცირეა საიმისოდ, რომ მოსახლეობაზე ხმაურის მოსალოდნელი ზემოქმედება არ შევაფასოთ და უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ. ქარხანა 24 საათის განმავლობაში მუშაობს. როგორც, ადგილობრივები ამბობენ დამის განმავლობაში მუდმივად არის ხმაური, რაც მათთვის შემაწუხებელია. აღნიშნულ საკითხს სკრინინგის ანგარიშის მე-6 ქვეთავი ეთმობა. ქვეთავში ვკითხულობთ: „პროექტის განხორციელების პროცესში ძირითადად იქნება რკინა-ბეტონისა და ლითონის კონსტრუქციული დეტალების და დანადგარების მონტაჟის სამუშაოები. ამ სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის დონე არსებული ცემენტის წისქვილის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილ ხმაურის დონეს არ გადააჭარბებს“ - ამის გასამყარებლად დოკუმენტში არანაირი სახის გაანგარიშება არ არის წარმოდგენილი. აუცილებელია, რომ პროექტის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება სათანადოდ იქნას შესწავლილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ქალაქ კასპში ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კირქვის სეპარირებულად დაფქვის) პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას; სხვაგვარად, შეუძლებელია შეფასდეს ყველა ის ზემოქმედება, რომელმაც საწარმოს გაზრდილი წარმადობის პირობებში, შეიძლება თავი იჩინოს და გავლენა იქონიოს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.